თუ კი, მსჯელობენ ეს ავტორები, (ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად), ხელოვნებისათვის სპეციფიკურია მხოლოდ ფორმა ე. ი. თუ ხელოვნების სპეციფიკის ის შეადგენს, რომ ის სხვა ფორმით (მხატვრული სახებით) გადმოცემას იმავე შინაარსს, რასაც ცნობიერების სხვა ფორმები (კერძოდ, მეცნიერება), მაშინ აქედან გამომდის შემდეგი ყალბი დებულება: ხელოვნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონია ფორმას. ეს კი ფაქტიურად კანტაინური ფორმალზმის აღორძინებაა, რაც მომავლინებელია ესთეტიკის მეცნიერებისათვის. „თუ ხელოვნებისა და მეცნიერების შინაარსი ერთი და იგივეა, მაშინ რად უნდა ვაყოფო მე. პოეტად, მხატვარად დებულება მეცნიერებისა?“ შემდეგ, „თუ არ არსებობს აუცილებელი კავშირი სპეციფიკური ხატოვანი ფორმისა მისსავე სპეციფიკურ შინაარსთან, მაშინ რაშია ამ კავშირის აუცილებლობა?“ ასეთ კითხვებს შეუძლიათ მიგვიყვანონ ან ფორმის თვითღირებულების აღიარებასთან, ან მეცნიერულ-პუბლიცისტური და სხვა ქემმარტიკებათა „გამფორმების“ როლთან (ბუროვი, გვ. 39).

ესთეტიკური მეცნიერების ეს ნაკლოვებებანი ამ შრომების მხატვრობის მთავარ პუნქტად არის ქცეული. ნაკლოვანებათა მიქმამლისი მეთოდი სრულად უვარგისია როგორც სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე ჩვენი მეგობრების მცდარ შეხედულებათა უარყოფაში.

საბჭოთა სახელმწიფოს, სოციალისტური ხელოვნების ძალა სწორედ საყოთარ ნაკლოვანებათა მხილვასა და მათს დაძლევაშია.

წინააღმდეგობებს სოციალიზმის გზაზე მტრები იყენებს საერთოდ სოციალიზმის წინააღმდეგ სამბრძოლველად. X X ყროლობის შემდეგ სოციალისტურ მოძრაობაში შექმნილი სპეციფიკური ვითარება, ის რთული, გარდაქმნილი პროცესები, რომლებშიც ჩვენ ვცხვებობდით და ცმონაწილეობდით, ყველასათვის როდი აღმოჩნდა თანაბრად გასაგებ, მისაღებ, და ამის მიზური ადამიანური ყოფისა და სამყაროს აქმის რთულ კომპლექსში უნდა ვეძიოთ.

აქედან წარმოდგება აზრთა მძაფრი ბრძოლები, გაჭედილობანი.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, უნდა აგხანათ ის, რომ უფერული, არაფორსიმქმელი, უდიდო ნაწარმოების არცერთსა ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში შედეგია სოციალისტური რეალზმის მეთოდის გაყენებასა. ამის შესახებ მზუნებარედ და საქმისადმი უდიდესი სიყვარულით (თუმცა არა ყოველთვის ზუსტად) ილაპარაკა შოლოხოვმა მწერალთა საკავშირო ყრილობაზე. თუმცა რაოდენ მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს სუსტ ნაწარმოებები, ისინი მაინც ვერ დარბილავენ სოციალისტური რეალზმის დიდ მონაპოვართ. დღეს, საბჭოთა კავშირის უდიდეს საერთაშორისო მიღწევებათა ფონზე ეს უფერული მასა ხალტურული ნაწარმოებების ზოგჯერ ხელს უშლის ბევრ ჩვენს მავობარს ცხადად დაინახოს სოციალისტური რეალზმის თქონს ფონი და სწორედ ამიტომ საჭიროა თვადი კი არ დაგვტოვო ამ ნაკლოვანებათა წინაშე, არამედ ვერყვეთ მათი ნაშლევი მიზეზები და გავაშლით ბრძოლა მათი დაძლევისათვის.

განსახილველ ნაწარმოებთა ერთ-ერთ მთავარ ღირსებად სწორედ ის მივაჩანია, რომ მათში დასშულია ეს საკითხი და სრულად გარკვეული და დამაყმყოფილებელი პასხიხეცა გაცემული.

ვ. ვასილვი წერს: „ერთი სერიოზული ნაკლოვანებათაგანი, რომელიც დაკავშირებულია ხელოვნების სპეციფიკის ობიექტური კანონზომიერების დარღვევასთან, არის ვერც წოდებული ილუსტრაციოლობა, რაც ასე ხშირად აწყდება ჩვენი მხატვრული კრიტიკა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხატვრული ნაწარმოების შინაარსი დღევანებდა რომელიც ზოგად იღვამდე, რაც არსებობდა ამ ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლად და ყველასათვის ცნობილი იყო მისი შექმნილად ასეთ შემთხვევაში მხატვრული სახე გამოდის არა როგორც დამოუკიდებელი, სპეციფიკური სახება ცხოვრებისა, არამედ მხოლოდ როგორც... მისი დადასტურება და ილუსტრაცია“ (გვ. 157).

ახასიათებს რა ამ გზით შექმნილი ნაწარმოებებს, ავტორი წერს:

„მათში, ერთის შეხედვით, ყოველივე რიგზეა: აქ არის თემის დაქულობაზე და იდეური ჩანახატის პროგრესულბაზე. მაგრამ მეითხველისა თუ მაყურბლის კულს არ ეკარება; იგი ცივად ტოვებს მას, ვინაიდან ისინი ყალბად ვერენ, და ამიტომაც მათ ხალხი არ დებულობს“ (გვ. 171).

„როცა, — წერს ბუროვი, — გაიკვირებულია ხელოვნებისა და ცნობიერების სხვა ფორმების შინაარსი, როცა ხატლზარ არსობიდა ხელოვნებაში გადმოსახვის ხერხს, მხოვან ფორმას მიიჩნევენ, მაშინ გარდუვლიან ყოველგვარი გულგარზატორული და ფორმალისტური დასკვნები ხელოვნებისა და მხატვრული შემოქმედების მიმართ... სწორედ აქედან გამომდინარეობს სასიათების დაყოფცება, შიმეხილ ტენდენციებისა, სქემბატონი და შ. შ.“ (გვ. 39-40). ესთეტიკური მეცნიერების ნაკლოვანი მხარეების ამგვარი ახსნა, ვხას უღობავს ჩვენი ხელოვნების შესახებ ზოგერთთა მტედად ყალბ და მავნე მსჯელობას. ამ აქტუალური საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, როცა ამავე დროს ვთავალობსწინებულია ზრდის რთული პროცესები და საერთო სიმწელები, დამახასიათებელია განსახილველი ნაწარმოებისათვის.

ხელოვნების ყრიმისა და შინაარსის შესახებ ყალბი თვალსაზრისის კრიტიკის შემდეგ ავტორები იძლევიან საკითხის მართებულ გადაწყვეტას, ხელოვნების შინაარსის პრიმატობის დებულების დასაბუთებას და მის კონკრეტოზაციას. ილუსტრაციორობის, ხელოვნების იდეურობის სპეციფიკურობის უარყოფის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა აქ ახალ შინაარსს იძენს, და საკითხის სხვა კუთხის გათვალისწინებით, უფრო სრულყოფილი ხდება.

ვ. ვასილვი მზიართავს შედეგ მსჯელობას: ხელოვა-

<sup>1</sup> A. Буров — «Эстетическая сущность искусства», стр. 10.

<sup>2</sup> В. Ванслов — «Содержание и форма в искусстве».





ნის ოსტატობა არ ნიშნავს, როგორც ამას ხანდახან მხატვრულ კრიტიკაში წარმოგიდგენენ, ამა თუ იმ იდეის მხატვრულ გაფორმებას. ამ ნინადგავა წარმოქმნილი ზოგიერთი კრიტიკოსისათვის ეგზოტ და ნაბანასათუღელი მსჯელობა, იდეურა და წაწარმოები კარგია, მაგრამ ოსტატობის თვალსაზრისით მოიკოცებოდა და მხატვრის ოსტატობას წაწარმოების ფორმით შემოხედავდა. ოსტატობა და ნოვატორობა საბჭოთა ხელოვნებისა, უბრალოდ უნდა იყოს შინაარსის ოსტატობა. „ნამდვილი ოსტატობა მხოლოდ იქ არსებობს, სადაც ბოლომდე გამოყენებულია ხელოვნების სპეციფიკა, ამასთან მისი შინაარსის სპეციფიკაც“ (გვ. 161).

6. დმიტრივე მეტად საინტერესოდ დაწერული გამოკვლევაში („Вопросы эстетического воспитания“) ამ საკითხზე შემდგენიარად მსჯელობს: „როცა რეცნენტები წერენ რომელიმე წაწარმოებზე, რომ ის მნიშვნელოვანია, იდეურია, სასარგებლოა, მაგრამ „უსუსნა ოსტატობის მხრივ“, ეს ძველს უნდაოდ და უაზრო წინააღმდეგობა. ჯერ კიდევ ბელისკი და ცასინოდა თეორეტიკოსებს, რომლებსაც მიანდათ, რომ ესთეტიკური — ეს არის შეგონებათა ტკბილი საკანში მწიერ წაწარმოების. ხელოვნების შინაარსი ესთეტიკურ გარსში კი არ ეხვევა, არამედ თვითა ესთეტიკური“ (გვ. 104).

აქ უკვე ხელოვნების სპეციფიკური შინაარსი მკაფიოდაა მიითვებული. მაშასადამე, ხელოვნებისათვის ესთეტიკურია ერთ-ერთი „მხარე“ კი არა, როგორც აქამდე წარმოიდგინებოდა, არამედ მისი არსება.

ეს გარემოება პირდაპირაა მიითვებულია ა. ბუროვის წიგნის სათაურშივე „ხელოვნების ესთეტიკური არსება“, რომელშიც ავტორი წერს: „ხელოვნების სპეციფიკა ესთეტიკურია. ხელოვნების ყველა მხარე და კანონზომიერება — ეს ესთეტიკურის მხარე და კანონზომიერებაა, ამიტომ ხელოვნების თვისებრივი განსაზღვრება, მისი არსება ესთეტიკურის განსაზღვრება და არსება“ (გვ. 11).

ხელოვნების არსებად ესთეტიკურობა მიჩნეული შედევ წიგნებშიც („მგ. იხ. „Очерки марксистско-ленинской эстетики“, გვ. 244; „Вопросы марксистско-ленинской эстетики“, გვ. 32-33-35). ხელოვნების სპეციფიკური დანიშნულება, — წერენ ავტორები, — მდგომარეობს ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. „ხელოვნება მოწოდებულია, ერთის მხრივ, დააკმაყოფილოს ხალხის ესთეტიკური მოთხოვნილებანი, მეორე მხრივ — აღზარდოს ეს მოთხოვნილებანი; აიყვანოს უფრო მაღალ დონეზე და ამით ხელი შეუწყოს მასების ესთეტიკურ განვითარებას; ეს საჭიროა არა მარტო ხელოვნების აღქმისათვის, არამედ კულტურის საერთო პროგრესისათვისაც — შრომის, ემოციების კულტურისათვის“ (6. დმიტრივე, გვ. 9).

ხელოვნების სპეციფიკური შინაარსის, მისი დანიშნულების ასეთი გაგება ხომ არ ნიშნავს ხელოვნების იდეურობის, ხელოვნების შემეცნებითი და ეთიკური ღირებულების უარყოფას? ამდენად დნიშნული ავტორები ხომ არ თმობენ ხელოვნების იდეურობის პოზიციებს? შრომებში ეს საკითხი გათვალისწინებულია. ავტორები სწორად ამ ძირითად პუნქტში ამოწმებენ თავიანთ შეხედულებებს. მათი აზრით ხელოვნების იდეურობის ნამდვილი ახსნა სწორად ხელოვნების ბუნების საკითხის ამგვარად დასმას მოითხოვს. როცა საკითხი იდგა შემდგენიარად: ხელოვნება აქვს იდეური, შემეცნებითი, მორალური და ესთეტიკური ფუნქციები, სწორად ასეთ შემთხვევაში ირრადილება ხელოვნების ნამდვილი იდეურობა. შრომებში საკითხი ასეა განმარტებული: თუ ხელოვნების იდეური დანიშნულება, შემეცნებითი და მორალური მხარეები მისი ესთეტიკური ფუნქციის ვერდილია, მაშინ თვით ესთეტიკური ცარიუდებოდა იდეურობის და მორალურ-შემეცნებითი ღირებულებისაგან, და ხელოვნების არსება — ესთეტიკურობა გაიხილება ამ ძირითად თვისებათა არმქონედ. უკეთეს შემთხვევაში ეს თვისებანი გარეგნულად

უკავშირდებიან მას და ამით ხელოვნების ნამდვილი ბუნება გაყარებულია. სინამდვილეში კი თვით ესთეტიკურობა (როგორც ხელოვნების არსი) ხასიათდება იდეურობით. მას გააჩნია შემეცნებითი და მორალური ღირებულება და არა ხელოვნებას გააჩნია ისინი ერთი მეორის გვერდით.

მიუხედავად მათგან. ა. ბუროვი წერს „ჩვენში აქამდე გაბატონებულია წარმოდგენა, თითქოს ხელოვნებში ესთეტიკური გამოიღოს, როგორც კერძო, შემაღლებული ქულმენტის. ამასთან არა ძირითადი, არამედ როგორც მეორეხარისხიანი ელემენტი, რომელიც ფაქტიურად თითქმის ყოველთვის იგნორირებულია: აქამდე, შეუძლებელია მთელი ხელოვნება დაიყვანოს ესთეტიკურზე, რადგან, ხელოვნება, გარდა ამისა, არის ასევე შემეცნება სინამდვილისა; ის უნდა იყოს მოწინავე საზოგადოებრივი იდეების მატარებელი, ის უნდა იყოს დაინტერესებული და პრაქტიკულად შემოქმედი. სახეებით ცხადია, რომ იგნორირება ან თუნდაც დამცირება ესთეტიკურისა ამ საფუძვლით, ნიშნავს, იდეური, რომ ესთეტიკური თავისი ბუნებით ყოველგვამ ამათის თავში არ შეიკვას. მაგრამ ეს იქნებოდა ესთეტიკურის არსების კანტონური ფორმულის მიღება, როგორადაც არ უნდა უარყოფდნენ ამას ასეთი არგუმენტაციის ავტორები“ (გვ. 12).

ესთეტიკურობის ასეთი ყალბი, კანტონური გაგება, მისი დაპირისპირება იდეურობასა და შემეცნებით-მორალურთან უდევს საფუძვლად ზოგიერთების იმ მტკიცებას, თითქოს ვინც ხელოვნების არსებას ესთეტიკურობაში ხედავს, ის ხელოვნების იდეურობას უარყოფს (გვ. 13). ზევილი მოყვანილი ამონაწერიდან ყურადღება უნდა გავაჩვიოთ ერთ მომენტზე: ესთეტიკურად, ვადავლებოდა იყო უკანა პლანზე ან საერთოდ იგნორირებული იყო.

თუ საქმის ვითარებას კარვად ჩაუვყურდებით, ნათელი გახდება, რომ საკითხის ძველებური დაყენების პირობებში ესთეტიკურის ნამდვილი ბუნების დამახინჯება ვარდნილი იყო. მართლაც, თუ ხელოვნების ესთეტიკური ფუნქცია, იდეური და შემეცნებითი ფუნქციის გვერდით არსებობს, მაშინ ცხადია, რომ ეს ორი უკანასკნელი, როგორც ძირითადი, წინ უნდა წამოვიწიოთ, ხოლო ესთეტიკურობა ცალკე განვიხილოთ. საკითხისადმი ასეთი დამოკნა, რაც ხელოვნების ესთეტიკური ბუნების მაქსიმალურად ნიშნული გაგების დამახინჯებაა, ჩვენს მხატვრულ კრიტიკაში აკანონება სწორედ იმ უსწარვი მეთოდს, რომელიც ხელოვნის ოსტატობას წაწარმოების იდეური შინაარსისაგან მოწყვეტილი განიხილავდა. ასე დაკანონდა და მოითხოვდა მოქალაქეობრივ უფლება ამეთქმებმა: ესა და ეს წაწარმოები იდეურად შესანიშნავია, მაგრამ ოსტატობის მხრივ უუარგისია და სხვა. ეს კი ერთგვარად უსწარვიცვით რეპუბლიკაციის უკეთებად სუსტ, არაფრისმთქმელ წაწარმოებს.

ამგვარად, ხელოვნების იდეურობის სწორი გაგება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა იდეური შინაარსი ვეჭვბუც ესთეტიკურობაში, როგორც ხელოვნების არსებაში. განსახილველი წიგნების ერთ-ერთი ძირითადი ღირსება იმაშია, რომ მათში ესთეტიკური ციკლევა სწორედ ამ მიმართულებითაა წარმართული.

ჩვენ ვინდობდა კიდევ ერთხელ გავგვსვა ხაზი იმისათვის, რომ ხელოვნების ესთეტიკური ხარისხისათვის ზძილია არის ამვე დროს ზძილია მისი იდეურ-აღმზრდელითი ქმედითობისათვის... მათი დაშორება შეუძლებელია, რადგან თვით შინაარსი ხელოვნების არის ესთეტიკური შინაარსი, ხოლო ფორმის შემეცნებება ნიშნავს ამ შინაარსის რეალუაციას“ (6. დმიტრივე, გვ. 11). როცა ხელოვნების დანიშნულება მივიჩნევთ საზოგადოების ესთეტიკური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ცხადია, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ეს მოთხოვნილებანი ერთხელ და სამუდამოდ ჩამოკლებულია, რომ სამართი არაა მათი შეცვლა, განვითარება გარკვეული დანიშნულებით. სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილებანი, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები გასხვავდებიან



Յույն 5. Կաթնհոնակ 1000 — Վ. Բոյ





ესთეტიკური მიმდებარებითაც, მხატვრული გემოვნებითაც გამოიკონისტური იდეალების შესაბამისი ესთეტიკური გემოვნების აღზრდა ჩვენი ხელოვნების ერთერთი უდიდესი ამოცანაა. ამ ამოცანის გადაჭრას უნდა უწყობდეს ხელს მხატვრული კრიტიკა, დამატარებელი სწორ ესთეტიკურ თეორიაზე. ნ. დმიტრიევა სპეციალურ გამოკვლევაში, რომელმაც მაღალი შეფასება დაამსახურა (იხ. „Вопросы философии“, 1957, № 4), აღმაშურებლად ცხადყოფს სინამდვილის ესთეტიკური აქტის, მოვლენების ესთეტიკური შეფასების როლსა და მნიშვნელობას ადამიანის საქმიანობაში, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

ესთეტიკური განვითარება ეს არის არა მარტო განათობა გონებრივი ჰორიზონტისა და წყობილი წიგნების სისხა, არამედ ეს არის ორგანიზაცია საზოგადოებრივი ადამიანის გრანოებისა; მისი ქცევების საიმედო მეთვალყურე“ (გვ. 8).

ადამიანი თავისი გუნებით მხატვარია. ის ყოველთვის, ასე თუ ისე, ცდილობს შეიტაროს თავის ცხოვრებაში სილამაზე—სიყოფიანობის ხელოვნების ფუნქციონირების მ. გორკის ამ სიტყვების დადევნება არ შეიძლება. აქედან ცხადია, რომ სინამდვილის ესთეტიკურ აქტებს, სილამაზის შეგრანობასა და „მისი განონების მიხედვით მოქმედებას“ (კ. მარქსი) უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანისათვის. ეს არსებითი მხარე ადამიანის მოღვაწეობის ძლიერდება და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კომუნისტური ურთიერთობის პირობებში. ასეთი საზოგადოების მისამართით ამზობდა გორკი: მომავლის ეთიკა ესთეტიკაა.

ხელოვნების ესთეტიკურ ბუნებაზე ყურადღების ასეთი გაანხილვით ავტორები კომუნისტური იდეალების შესაბამისი ცხოვრების აღზრდის საქმეს ეხმარებიან. საკითხის მნიშვნელობა და საქმისადმი სიყვარული ვალდებულს ხდის ყველას ყოველმხრივ შეუწყურს ხელი ამ საბატიო ამოცანის გადაწყვეტას. ამ უპირველესად იგულისხმება იმ ნაკლებობების ჩვენება, რაც ამ ნაშრომებს გაჩანია. ამ მთელი პირობების დაშვებების ძეგლით თავი დააღწიო ნაკლებობებისა და შეცდომების. ჩვენს მიერ შეინაშნული შეცდომების კრიტიკისას ვიხებოდვანებულთ გარკვეული პრინციპით ისევე, როგორც დადებითი მომენტების ჩვენებისას ვეხლდვანებოდვით.

ზეთი შედარებით ვრცელად იყო ლაპარაკი ესთეტიკის მეცნიერების ჩამორჩენაზე. ამ ჩამორჩენის მიზეზზე და აღნიშნული იყო ის დებულებები, რომლებიც წარმოადგენდნენ ხელოვნების მარქსისტული გაგების დამახინჯებას, ზღუდადნენ მის განვითარებას, ითქვა ისიც, რომ აღნიშნულ შრომებში დაგნობილია ეს მცდარი გაგება და საკითხის კვლევის მართებული გზა აღმუშავდა. როგორც მიზეზული შედეგი ვგაქვს ჩვენ ახლა ესთეტიკის საკითხის სისტემატური დამუშავება, ვგაქვს წიგნი, რომელშიც თანმიმდევრულად იქნება დალაგებული ესთეტიკის ძირითადი დებულებანი? სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არა ვგაქვს ეს ითქვა ამ წყნების განხილვაზე, რომელიც მოსკოვში გაიმართა 1. აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ ვიფარვდებით სათაურებში: „ზოგიერთი საკითხი“, „საკითხები“ და ა. შ. არა ვგაქვს წიგნი „ესთეტიკა“, სადაც ვამუშევებელი იქნება ყველა ძირითადი საკითხი. თუ კი ამჯერად საკითხის კვლევის გზი სწორადდა აღებულა, რატომ არ მონგრესდა მისი დავიგარვინება? ამ კუთხით შევხედით განსახილველ შრომებს, ხომ არაა მაშინ ისეთი ხასიათის ნაკლებობა, რაც ხელს უშლის საქმის საბოლოოდ დამთავრებას? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ძირითად საკითხში ავტორები ისეთ მონარბებებს ადგანან, რაც ზღუდას მათ. შევხებით რამდენიმე ძირითად საკითხს.

**1. ხელოვნების საგნის შესახებ. ეს საკითხი გან-**

საკუთრებით მწვავედ დადავა შემდეგი მდგომარეობის გამო. სანამ ხელოვნების შინაარსისა და დანიშნულების სპეციფიკობა უარყოფილი იყო, უწყვეტული იყო ხელოვნების საგნის სპეციფიკობა. ხელოვნების სპეციფიკური შინაარსის გარკვევასთან დაკავშირებით წინ წაიძვდა ხელოვნების საგნის საკითხი. ხელოვნების საგნისადმი განსაკუთრებული ყურადღება ჩანს ბურჟოასა და განსვლოვის მიზნობრავებში. მაგრამ, სამწუხაროდ, სურვეკობის მიანიჭა მხოლოდ საერთო გაურკვეველად ჯერვებს ამ მხრივ. შეხედულება, რომელიც ასე თუ ისე ფართოდ ვრცელდება, სწორი არაა და შემოდის კვლევისათვის და გარკვეულად დამახარკოლებელია. ავტორთა უმეტესობა საკითხის სწორახზოვად უღებდა. ისინი ასე მსჯელობენ: თუ ხელოვნების შინაარსი განსხვავებულია ცნობიერების თუ ხელოვნების შინაარსისაგან, მაშინ ხელოვნების საგნს სხვა ფორმის შინაარსისაგან, მაშინ ხელოვნების საგნადაც უნდა გამოინახოს ისეთი რამ, რაც სხვის საგანს არ შეადგენს. ამ უპირველესად ობიექტურა ჩანს, მაგრამ იგი მხოლოდ მოჩვენებითია. ჩვენის აზრით, საკითხის ამგვარი დაყენება შეუძლებელს ხდის მის გადაწყვეტას. მართლაც, სინამდვილის მოვლენებიდან ხელოვნებისათვის რა შეიძლება გამოიმჩნოს ისეთი, რაც სხვა ფორმების (მაგ. მეცნიერების) საგანი არ იქნება? მეცნიერება, მეცნიერული შეშენება სუვერენულია სინამდვილის ყოველი მოვლენის მიმართ. არ არსებობს ისეთი მოვლენა, რომლის მეცნიერული შეშენება შეუძლებელი იყოს პრინციპულად (ცხადია, ამას არ ეწინააღმდეგებიან ის ფაქტი, რომ მეცნიერული შეშენების სახნად ჯერ ბევრი რამ არ გამხსნარა). ამიტომ რა სფეროც არ უნდა მივიჩნიოთ ხელოვნების საგნად, მისი გამოირცხვა მეცნიერული შეშენებან შეუძლებელია.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს აღნიშნული ავტორების თვალსაზრისის მცდარობა, მივმართოთ მათსავე დებულებებს.

ა. ბურჟოა ასე განსახლვრავს ხელოვნების საგანს: „ხელოვნების სპეციფიკურ ობიექტს წარმოადგენს ადამიანის ცხოვრება, უფრო ზუსტად, — საზოგადოებრივი ადამიანი, საზოგადოებრივისა და პირადის ცოცხალი მოღიანობით, იმ მოღიანობით, რაც ობიექტური ადამიანური არსების მიხედვით მისთვის დამახასიათებელია“ (გვ. 136. ხაზი ავტორისა, ვ. ქ.).

ადამიანი, როგორც მოღიანობა, როგორც საზოგადოებრივი არსება მარქსისტული სოციოლოგიის საგანია (სხვა სიტყვებით: მარქსისტული სოციოლოგია განიხილავს ადამიანს, როგორც საზოგადოებრივ არსებას). ამგვარად, ეს სფერო სრულიადაც არაა „ხელოვნებისათვის სპეციფიკური ობიექტი“, როგორც ეს ბურჟოა ჰგონია.

უკეთეს მდგომარეობაში არც განსვლოვი აღმოჩნდა. ხელოვნების სპეციფიკური ობიექტი მან ამგვარად „გამოიხილა“: „არსებობს—წერს იგი, —სინამდვილის მოვლენათა ესთეტიკური არსი (იხ. „Содержание и форма в искусстве“, გვ. 48, 69, 72). ეს არის, მისი აზრით, ხელოვნების საგანი, რომელიც „ხასიათდება ესთეტიკური თავისებურებით და ეს არსებობდა განსახვების მას მეცნიერების საგნისაგან“ (გვ. 50. ხაზი ავტორისა, ვ. ქ.). ავტორი ლაპარაკობს მოვლენების ესთეტიკურ თავისებურებაზე, როგორც მათს ესთეტიკურ არსზე, ესთეტიკურ თავისებურებაზე იგივე თვალსაზრისით აქვს ავტორის გატარებული თავის მეთოდ გამოკვლევაშიც.

წარმოვადგინოთ, რომ მოვლენებს, საგნებს, მართლაც, გაჩანიათ. ასეთი თვისებები, არსი და ა. შ. რა უღლებით უნდა გამოირჩეხთ ისინი მეცნიერების სფეროდან? ყოველ შემთხვევაში ასეთი მოვლენები არ შეიძლება დარჩეს ესთეტიკის მეცნიერების სფეროს გარეშე და ამგვარად, ხელოვნების ობიექტი და სწორტიკის მეცნიერების ობიექტი ერთი და იგივე გამოვა, რაც განსვლოვ, ცხადია, სრულებითაც არ აწყობს; იგი სწორედ ამის წინააღმდეგ იბრძვის.

შეცდომაა მოვლენათა, საგანთა ესთეტიკურ არსზე.

1 ამ განხილვის ანგარიში იხ. „Вопросы философии“, 1957, № 2, გვ. 168-171.

თვისებაზე ლაპარაკი. შესაძლოა ეს იმითაც არის გაპირობებული, რომ ავტორის სურს (და ეს ძალიან კარგია!) შემცინებლობის ობიექტურბოა დაასახულოს. შემწვიერების ობიექტურბოის მტკიცება კი სრულიად არ მოითხოვს ისევე, როგორც თვით სავანა არსად გამოუცხადებო, ესე-როგორც (ანალიზისა რომ მივმართოთ). კუმშარტების ობიექტურბოა არ ნიშნავს იმას, რომ იგი სავანის მხარედაც არ თვისებად მივიჩნით. ამ თვალსაზრისის მცდარობის საჩვენებლად საკმარისია ერთი შეხვეტი მოვივლით. ფერის შეგრძნება, როგორც მარტის აღნიშვნა, ერთ-ერთი უპოპულარესი ესთეტიკური შეგრძნებაა. ამასთან შევტიკა, რომ ფერის ობიექტურბოა არ ნიშნავს სავანის თვისებად არის არსებობას. ფერის ობიექტურბოა იმაშია, რომ სწორედ ასეთი და ასეთი სიზმრის ტალა იწვევს მას და არა სხვა სიზმრისა. მეტი არაფერი. ამგვარად, თუ კი შეუძლებელია, რომ სავანის თვისებად ეს უღელმეზობლესი ესთეტიკურბოა მივიჩნით, მით უფრო შეუძლებელია საერთოდ ესთეტიკურბოზე ითვის ეს. არა ესთეტიკური არის ცნობიერი სურათი, განსაზღვრული სინამდვილე და ამდენად ობიექტური შინაარსის მქონე. ის, რაც ცნობიერების თვისებაა, შეუძლებელია თვით სავანის თვისებად ჩათვალოთ.

ასეთ მდგომარეობამდე მიღის როგორც ერთი, ისე მეორე ავტორი. ამ საკითხში არც ერთია მართალია, ჩვენის აზრით, არც მეორე. საერთოდ საკითხის ასე დაყენება არაა სწორი. რადგან ხელოვნებისათვის სპეციფიკური სფეროს გამოხატვა (გამოხატვა ისეთი ობიექტისა, რაც არ იქნება მეცნიერების ობიექტიც) შეუძლებელია. თუ ჩვენ იმგვარად დაფიქვით ხელოვნების სპეციფიკური სავანის ძიება, როგორც ამას ჩვენი ავტორები ვეთავაზობენ, მაშინ სწორედ ხელოვნების სავანის სპეციფიკურობის უარყოფამდე მივალთ. ამან, შესაძლოა, კვლავ ხელოვნების შინაარსის სპეციფიკურობის უარყოფისაკენ დაგვპარბონს, რაც ასე საზიანოა საერთოდ ესთეტიკური მეცნიერებისათვის.

აღნიშნული შრომების ავტორები სასებით დაუშინახურებად ესხმები თავს მათ, ვინც ხელოვნების სავანედ მთელ სინამდვილეს მიიჩნევს. ეს უკანასკნელი კი, საშუალოდ, სრულიად უბრალოდ და თმობენ თავიანთ პოზიციებს, არ ასახელებენ თავიანთ მოსაზრებებს, ეს აადვილებს მათი დებულებების უარყოფას. ამით ერთგვარად ბატონდება ის მცდარი თვალსაზრისი, რომელიც ხელოვნებას სპეციფიკურ ობიექტად რაღაც გარკვეულ სფეროს შემოფარგლავს.

ხელოვნების სავანის სპეციფიკურობაზე რომ ვლაპარაკობთ, ამ შემთხვევაში ეს ცნება — „სპეციფიკურბოა“ — სრულიად არ უნდა ნიშნავდეს „განსხვავებულს“. ე. ი. ხელოვნების სავანის სპეციფიკურობა იმას კი არ ნიშნავს, რომ მას რაღაც განსხვავებული სავანი ექნება. სპეციფიკურობის ცნებას აქ სხვა შინაარსი აქვს. მეცნიერებისა და ხელოვნების სავანი ერთი და იგივე სინამდვილეა. არც ერთი შთავისის სფერო შეზღუდული და შემოფარგლული არაა. მთელი სინამდვილე მეცნიერებისათვის სავანაა ინტელექტუალური ასახვისა, ცოდნითი შეფასებისა. იგივე სინამდვილე ხელოვნებისათვის სავანია ემოციურ-ესთეტიკური შეფასებისა, ასახვისა. ჩვენ არა მარტო ვიციით კავითარობის ბუნება, მისი კანონზომიერება, არამედ გარკვეულ ემოციურ შეფასებასაც ვაძლევთ მას — ვაძლევთ იგი და ამიტომ ვიბრძობთ მის წინააღმდეგ. ცისარტყელა არის არა მარტო ჩვენი ინტელექტუალური შეფასების, ცოდნის, არამედ ჩვენი ოლტაკების სავანისა. ლ. ტოლსტოის შესაძინებაზე ვამოთქმავ აქვს, ამ შემთხვევისათვის მისადაგებული: მეცნიერისათვის მზე 111-ჯერ მეტია დედამიწაზე, პოეტისათვის მზე არის სიცოცხლე; ერთი და იგივე სინამდვილე, ერთი და იგივე სავანი ასახება, ფასდება, რომგორც ინტელექტუალურად, ისე ემოციურად, ესთეტიკურად. ამ აზრითაა ხელოვნებისა და მეცნიერების სავანის სპეციფიკური, ე. ი. აქ „სავანს“ აქვს სხვა, სპეციფიკური მნიშვნელობა.

ხელოვნების სავანის ამგვარი გაგება, ვფიქრობთ, უფროდან ავსებულს იმ არე-დარებას. რაც ჩვენი ავტორების შემოსხნებულ განსარტებას მოსდევს შედგავს. ე. განსაზღვრის და ბურთის შრომებზე ცენტრალურ პრესანა გამოქვეყნებულ რეკენებში საკმაოდ კარგადაა ნაწვენები ამ შრომების სუსტი მხარეები.

ხელოვნების სავანის საკითხი გადაჯაჭვულია მეორე, მეტად აქტუალურ საკითხთან, რომელიც, სამწუხაროდ, ასევე არა დაამკაცყოფილბოდაა გადაჭრილი განსახილველ შრომებში.

2. ხელოვნების მეთოდის საკითხი. ხელოვნების მეთოდის, კერძოდ, რეალიზმისა და მისი უმაღლესი ფორმის — სოციალისტური რეალიზმის თეორიული აზრობების დამუშავებაში დღემდე შევსებული არ არის ხარვეზები. ყოველგვ ამას, ჩვენდა უნებურად, ჩვენი მტრები იყენებენ საერთოდ საჭირო ხელოვნებისა და მისი მეთოდის უარსაყოფად. განსახილველი წიგნების ერთ-ერთ არსებით ნაკლს სწორედ ის შეადგენს, რომ მდგომარეობის გამო-სასწავლელად არც მათშია რამე სერიოზული ნაბიჯი გადატანილი. მართალია, წიგნებში („Очерки“ და „Вопросы“) სტალინური თავებიც კი ეძღვნა ამ საკითხს, მაგრამ ავტორები ძირითადად ზოგად ფრაზებს ვერ სცილდებიან. რატომ მოხდა ეს?

მნელა ამ საკითხზე ვაშუალოთ უნაშკალოა. ჩვენ მხოლოდ ერთ მომენტს მივპყვით ყურადღებას, რაც, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს საკითხის უფრო მოხერხებულად დასმას.

ჩვენ ვამბობთ: ხელოვნების მეთოდი არის რეალიზმი. რას ნიშნავს, რომ რეალიზმი მეთოდი ხელოვნებისათვის? რატომ არ ვამბობთ, მაგალითად: მეცნიერების მეთოდი რეალიზმი? არ ვამბობთ იმიტომ, რომ მეცნიერებისათვის ობიექტის რეალისტურად ასახვა არის ამოცანა და არა მეთოდი. მეცნიერების მოვალეობაა სინამდვილის სწორად (რეალისტურად!) ასახვა, მისი ადეკვატური სურათის მიცემა (კუმშარტების მიღწევა). ხელოვნების სულ სხვა მდგომარეობაა. ჩვენ რომ ვთქვათ ხელოვნების ამოცანას წარმოვადგინოთ სინამდვილის სწორად ასახვა, მაშინ გაუგებრობა იქნებოდა თქმა — რეალიზმი ხელოვნების მეთოდი. მეთოდი სწორედ იმას ნიშნავს, რომ მისი საშუალებით სხვა ამოცანა ყველად. რეალისტურად უნდა ასახო სინამდვილე, რომ ამ გზით (ამ მეთოდით) ხელოვნება ამ შესაძლებელ თავისი ამოცანა — დაამკაცყოფოს ადამიანთა ესთეტიკურ-ემოციური მოთხოვნებანი.

საკმის სა წარმოდგენა საშუალებას მოცემვდა და-გვედგინა და ცხადი გაგვეხადა მეცნიერული და მხატვრული მეთოდების საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. საკითხის ამგვარი ახსნილით სააშუაარზე გამოვიტანდით ის კანტაბულ პრინციპს, რომელიც ხელოვნებისათვის მეთოდს შეუძლებლად აცხადებს; საბოლოოდ კი შესაძლებლობა მოგვეცემოდა გავცელობოთ ზოგად ფრაზებს სოციალისტური რეალიზმის შესახებ და კონკრეტულად გვემსჯელა მისი ნიშნებისა და თავისებურების შესახებ.

3. ხელოვნების შემეცნებითი ფუნქციის საკითხი. მეცნიერული შეშეცნებისა და მხატვრული ასახვის მეთოდებისა და ამოცანების სწორად გარკვევის გარეშე ამ პრობლემის ნათლად წარმოდგენა მნელია.

განსახილველ შრომებში ამ საკითხზე ბევრი გაურკვეველი დებულებაა გამოთქმული. აქ შევვლდებით დებულებას იმის შესახებ, რომ მეცნიერება და ხელოვნება ურთიერთისაგან მხოლოდ შეშეცნების ფორმით განსხვავდებიან („Вопросы“ გვ. 38) და მის სრულიად საპირისპირო მოსაზრებას; მაგალითად ბუროვი წერს:

„როგორც ცნობილია, არსებობს გავრცელებული ფორმულა: „ხელოვნება არის აზროვნება სახეებით“. „ხატოვანი აზროვნება“; თუმცა ეს არა თუ რაიმეს გვიხსნის, არამედ, პირიქით, ახვევს საკითხს. იგი ვგაიძულებს ხელოვნების არსება ვეძებოთ რაღაც „განსაუთრებლად“ აზროვნებაში, რომელიც თითქმის არსებობს ჩვეულებრივი



ლოკაციური ე. ი. ცნებით აზროვნების გვერდით. შედეგად  
ცვლელობთ აზროვნებას ცნებების გარეშე, რომელსაც  
ითვით ადგილი აქვს მხატვრულ შემოქმედებაში“ (ა. ბუ-  
როვი, გვ. 140).

სხვა ადგილას კი ავტორი წერს: „იმისათვის, რომ  
სწორად განესაზღვროთ ხელოვნების საკანი, იგი უნდა  
განსაზღვროთ როგორც შემეცნების საკანი“ (გვ. 179). ის-  
მება კითხვა: როგორ ახლენ ხელოვნება თავისი საკანის  
შემეცნებას? მეცნიერული შემეცნების გზით? საჭიროა  
ჩვენება — როგორ მაშინ რა საეციფიკატე შეიძლება აქ  
ლაპარაკი? თუ ხელოვნების ამოცანას შეიძლება ესა თუ  
ის საკანი, (და თუ ეს შემეცნება მეცნიერული შემეცნების  
მეთოდით წარმოებს) რაღა რჩება ხელოვნებისაკენ? სხვა-  
ნაირ შემეცნებას კი, როგორც ვნახეთ, ავტორი შეუძლებ-  
დად მიიჩნევს. ეს სხვაგან უფრო უხსტად, რელიეფურად  
აქვს ბუროვს ნათქვამი: „სინამდვილის მხატვრული ასახ-  
ვა შეუძლებელია განვიხილოთ, როგორც სრულიად გან-  
საუფრებელი ფორმა აზროვნებისა, ერთდროულად წარ-  
მოშობილი და თანაარსებული ლოკაციური აზროვნების  
გვერდით. შეუძლებელია უბრალოდ იმიტირე, რომ არ არ-  
სებოს ორი აზროვნება — ლოკაციური, ე. ი. ჩვეულებრივი  
და რაღაც კიდევ განსაკუთრებული, მხატვრული“ (გვ. 25).

არც სხვა შრომებშია გარკვეულად რამ ნათქვამი. მხა-  
რობენ ახალ გამოთქმას — „ესთეტიკური შემეცნება“,  
მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ სხვათა შორის, ყოველგვარი  
ასხნისა თუ განმარტების გარეშე.

4. ხელოვნება, როგორც საშუალება და ხელოვნება,  
მიზანი.

ავტორები თუმცა ხშირად ლაპარაკობენ ესთეტიზმისა  
ან „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ თეორიის შესახებ, კონ-  
კრეტულად მაიხც არ განმარტავენ, თუ რა იგულისხმება  
ამში. ბუკვი არის სწორადაა ნათქვამი ამ თეორიის წინადა-  
მდე, მაგრამ მისი კრიტიკა მაიხც ვერაა ბოლომდე მიყვა-  
ნილი. და ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ამ თეო-  
რიის არსი ყოველმხრივ არ არის გახსნილი. მის წინააღმ-  
დევ. უმათერესად, წამოყენებულია მოსაზრება საზოგა-  
დოების მიმართ ხელოვნების სამსახურებრივი როლის შე-  
სახება. ხელოვნების არსი სწორედ ამ ასპექტით არის გახს-  
ნილი: ესთეტიკაში მართლაც უარყოფს ხელოვნების სამ-  
სახურებრივ როლს და ჩვენ ამ პუნქტში უნდა შევედგეთ  
მას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელოვნების ერთი  
არსებითი ასპექტი უყურადღებოდ დაეტოვოთ. ამ ნაშრო-  
მებში ავტორები საესტეტიკო სამართლიანად წერენ, რომ  
ხელოვნება არის სინამდვილის შემეცნების საშუალება  
(Средство познания), პოლიტიკური ბრძოლის საშუა-  
ლება, მორალური აღზრდის საშუალება და ა. შ. (იხ. მაგ.

„Очерки“ გვ. 247, „Вопросы“, გვ. 41-42). ყოველმე-  
ს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ ნუ თუ სწორია ხელო-  
ვნების განხილვა, როგორც მხოლოდ საშუალებას? თუ ხე-  
ლოვნება — ადამიანთა სულიერი ცხოვრების ეს ერთ-ერთი  
არსებითი ფორმა, წარმოადგენს მხოლოდ საშუალებას  
(გარკვეული, სხვა მიზნებისათვის), იგივე უნდა ითქვას,  
ვიცეთ, მეცნიერების მიმართ. გამოდის, რომ ადამიანის  
მოქმედი სულიერი საწყარო ადამიანის მოქმედების საშუა-  
ლებად უნდა გამოვაცხადოთ. რაღა დარჩა ადამიანური  
ცხოვრების მიზანი, თუ მისი სულიერი ცხოვრება მხოლოდ  
საშუალებაა? ცხადია, აქედან იმ დასკვნის გაკვეთა, რომ  
მხოლოდ ხელოვნება ადამიანური ცხოვრების არსი, მისი  
მიზანია, შეცდომაა, ესთეტიზმი, თეორიაა „ხელოვნება ხე-  
ლოვნებისათვის“. მხოლოდ ის აზრი იქნება მართებული,  
თუ ვიტყვით, რომ ხელოვნება არა მარტო საშუალებაა  
ადამიანის მოღვაწეობაში (მის ბოლომდე, იდეურ ბრძო-  
ლაში და ა. შ.), არამედ ხელოვნება ამავე დროს არის  
ადამიანური ცხოვრების გარკვეული მიზანი.

ამგვარად, საჭიროა ხელოვნება განვიხილოთ როგორც  
საშუალება და მიზანი ადამიანის სულიერი ცხოვრების.  
დასახვეული ავტორებისათვის, სამწუხაროდ, არაა და-  
მანსათიებული ხელოვნებისადმი ასეთი ორმხრივი მიდგო-  
მა. ეს კი ბევრად განსაზღვრავს იმას, რომ ისინი ჯერაც  
ვერ ახერხებენ მოლიან კურსად წარმოვიდგინონ ესთე-  
ტიკის მეცნიერება. ეს რომ ლიტონ განცხადებდა არ და-  
რჩეს, დაეძინე შემდეგ: ამ ნაშრომებში, განსხვავებით  
ზოგიერთი ადრინდელი წიგნებისაგან, ხშირად ვხვდებით  
ერთ-ერთ ისეთ ესთეტიკურ კატეგორიას, როგორც არის  
ესთეტიკური ტიპების კატეგორია. უნდა ითქვას, რომ აქ  
ეს ჯერ კიდევ ტერმინია და არა ცნება, რადგან მისი ში-  
ნაარსი ჯერაც არაა გახსნილი. ვიდრე ხელოვნებისადმი  
მიდგომა შემოსაზღვრულია მხოლოდ მისი სამსახურებრი-  
ვი ასპექტით, ეს ტერმინი ცნების დონეზე ვერ ამაღლდე-  
ბა. ხოლო სანამ ესთეტიკაში ეს ცნება არა გვაქვს, ძნელია  
გვეჩინდეს ესთეტიკის მთლიანი, ჩამოყალიბებული სისტემა.  
ჩვენში ბოლო პერიოდში ძალიან ბუკვი საყვედური გა-  
მოითქვა იმის გამო, რომ ე. წ. ძირითადი ესთეტიკური  
კატეგორიები მივიწყებული იყო. ამჟამად მათ შესახებ  
საკმაოდ ბუკვი იწერება, და ეს ძალიან კარგია! მაგრამ ეს  
ჯერ კიდევ ყველაფერი როდია! საქმე ის კი არაა, რომ ამა  
თუ იმ ნაშრომში ვეჭონდეს თავი თუ პარაგრაფი მეცნიერ-  
ების შესახებ და ა. შ., საჭიროა ხელოვნების ანალიზი ამ  
კატეგორიების მიხედვით, მათი საშუალებით ხდებოდეს.

ზოგადად ასე წარმოვიდგება ამ ნაშრომთა დადებითი  
და ნაკლოვანი მხარეები ესთეტიკის მეცნიერების ძირით-  
ადი პრობლემებისა და ამოცანების გარკვევისას.

ე. ამაშუკელი



ჩუკ. ე. გელოვანისა - 40 ა.  
ა. რ. ვ.

ზარელოვი

# ქუთაისის თეატრი ახალ სეზონში

რუთა ბერძენი, კირა კვიციანი - 900 მარ. - ანუ



ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრს სასახელო წარსული აქვს. ბევრჯერ ყოფილა იგი ქართული თეატრალური კულტურის ტონის მომცემი, ბევრი კარგი თქმული მისი მდიდარი წარსულისა და სახელოვანი მესვეურების შესახებ. მაგრამ უკანასკნელი წლების მანძილზე მოდუნებულმა მუშაობამ თავისებური უარყოფითი გავლენა მოახდინა ქუთაისის თეატრის მთელ კოლექტივზე, რაც სასველით სამართლიანად აღინიშნა ჩვენს პრესაში. თეატრი აშკარა შემოქმედებითი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა.

მიმდინარე სეზონი, რომელიც დაბაძული, მონდომებული შრომით, საქმისადმი უანგარო სიყვარულითა და ნათელი პერსპექტივების დიდი რწმენით დაიწყო, უფლებას გვაძლევს ვთვალო, რომ ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის ცხოვრებაში გარდაცვლის პერიოდი დადგა. თეატრმა აღმავალი გზით იწყო სვლა.

განსაკუთრებით მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ქუთაისის თეატრის შემოქმედებით კოლექტივს სათავეში ჩაუდგა ქართული თეატრალური კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვიასაძე. იგი შემართებით პატრიოტულ თავდადებით მოეცა და რთული ამოცანის გადაწყვეტას—ნათლად გამოკვეთოს თეატრის შემოქმედებითი სახე, მჭიდროდ დააზოგოს აქტიურობა კოლექტივი სასახელო მხარდობების დასაცავად, ახალ მნიშვნელოვან წარმატებათა მოსაპოვებლად.

სეზონის დაწყების წინ ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი შეიკოს ახალგაზრდა, ნიჭიერი აქტიორული ძალებით. მაგრამ ამით არ უნდა დატყობავილიყოს თეატრის ხელმძღვანელობა. მთავარია ამ მხარედა ახალგაზრდობის შენარჩუნება, მათთვის საჭირო პირობების შექმნა, რათა არ განმეორდეს წინა წლებში შეუწყნარებელი მაგალითი, როცა ბევრი ახალგაზრდა მსახიობი ქუთაისის თეატრს დედაქალაქის თეატრებში გადასვლის ტრამპლინად იყენებდა.

თეატრის ახალმა ხელმძღვანელობამ დიდი შრომა გასწია ორკესტრის შემადგენლობის გასაძლიერებლად, საქმიანი ურთიერთობა დაამყარა ადგილობრივ დრამატურულ კოლექტივებთან, რომლებიც თანამედროვეობის ამსახველ ნაწარმოებებზე მუშაობენ. 1958-59 წლის სეზონი სწორედ იმით არის საინტერესო, რომ თეატრს გადაწყვეტილი აქვს თავის რეპერტუარში მეტი ადგილი დაუთმოს თანამედროვეობის, კომუნისტური საზოგადოების შემეხვეული აღმანიშნის ცხოვრების ამსახველ პიესებს. ამ ნაწარმოებთა შორის აღანიშნავია გირტას „თავლუციველილი სივრცეში“ და კ. ლორთქიფანიძის „იმერეთის ცისკარი“. გარდა ამისა, თეატრს გათვალისწინებული აქვს დროდადრო მუსიკალური სპექტაკლები მიწოდოს მასურებელს, მინაწილდება მიიღოს მუსიკალური თეატრების რესპუბლიკურ ფესტივალზე, რომელზედაც ვ. მაიაკოვსკის „აბანოში“ წარსდგება.

ქასუბისგებლობის გრძნობის გამახვილებამ, ხალხის ნაშრომში თეატრში შექმნა ის ჯანსაღი ატმოსფერო, რომელიც დადოლობას აიწვევს ძიებით გატაცებულ ხელოვანს, ეს კი მთავარი საწინდარია წარმატებათა მოსაპოვებლად.

ახალი სეზონის პირველი სპექტაკლი, რომელმაც შემოქმედებითი სიხარული მოუტანა თეატრს, — არის გავაფშველას „მოკედილი“. ეს სპექტაკლი რეჟისორის, გვარ-

დარ-დეკორატორის, კომპოზიტორისა და აქტიორული კოლექტივის შეთანხმებული, ინტენსიური მუშაობის კარგი შედეგია.

უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისელთა სპექტაკლში გაეკრალ არის დაცული დრამატურული მასალა, პიესის იდეა გაგებულია ავტორისეული ჩანაფიქრის მიხედვით, წინა მლანზე წამოყვების იმდენად არა პატრიოტული მორიყეები, რამდენადაც ხალხის ინტერესებთან დაპირისპირებული გმირის ბედი. სპექტაკლში ხაზგასმულია ლაშარის ჯგირის, თამარ მეფის კულტისადმი ფანატური შორილეება, მაყურებელი უფრო მეგობრად გრძნობს სათემო დროშის, ლაშარის ჯგირის თავყანისცემას, ვიდრე თემისაგან მოკვეთილი ზახას თავგანწირვას, მასში გაღვივებულ პატრიოტიზმს, შრომობიური მიწის სიყვარულს. სპექტაკლში ყველა და ყველაფერი ლაშარის ჯგირისა და სათემო დროშის სიღალღეს, სუფუნების მანიჭილ დაკვიდრებულ ადათ-ჩვევებს ტყუვობას ეწირება. თემის არი ყოველთვის რიღდა სასველით სწორი, ხალხი ზახას საცხედრით გამოწვეულ დანაშაულს ხედავს, მაგრამ მიზუს უკვე არ უწყის ანგარიშს, რადგან მიზუსი სათემო დროშის შეზარდატრის, სახელგანთქმული ვაჟაკის ჩონჩისაგან მომდინარეობს. ამიტომ, რომ პიესის კონფლიქტი ორი მთავარი გმირის ჩონჩას და ზახას პირადი ინტერესების დაპირისპირებაზეა აკუბული. პირიბოლა, ზახას მოქმედება — მის მიერ ქისტების წინამძღოლობა ნაკარნახევა არა თემისადმი ღალატით, არამედ უშინსძიებით, რომელიც მას სატრფოს მომტაცებელ ჩონჩასთან აღძვრის, მაგრამ გრძნობას აყოლილმა ზახამ ვეღარ გაითვალისწინა მტრემის ძალა და ამ საბედისწერო ნახიჯით თემისაგან მოკვეთა დამისახურა.

მაყურებელმა ზახას როლში ნახა მსახიობი გ. ნაც-ველიური, რომელიც ნათლად გვაჩვენებინებს ურისძიძიების გრძნობას აყოლილი ახალგაზრდა კაცის ტრაგედისა. ზახას სულიერ ტრავმას აძლიერებს მისი შეღაბული თავმოყვარეობისადმი გულგრილად განწყობილი თავაკვერის სასტიკი ვანაჩი. ამასვე გრძნობდა ზახას ვეარის წარმომადგენლებიც. ისინი მოითხოვენ ჩონჩას მოკვეთასაც, მაგრამ ბოლის იძილებული არიან ზაშარის ჯგირის წინაშე ქედი მიზნაზრდ, შეურთვადგენ ხალხის არც თუ მთლად სამართლიან გადაწყვეტილებას.

მსახიობ გ. ნაცველიურის ზახას სპექტაკლის დასაწყისიდან ბოლომდე ძალზე მობოძარი, მეტისმეტად აღტიყნებულია; ის ყვირილით ცდილობს დაიკავს თავისი სიმართლემ. მაგრამ როლის ამგვარად განვითარება ერთგვარად ღლის მასურებელს. არ იქნებოდა ურიგო, რომ მსახიობი ზოგჯერ ხმდაბლი მეტყველებით, მაგრამ უფრო ინტენსიური გამოხატულებით საკუთარ განცდებს, მეტი ფერებს მხარობდეს ცალკეული სიტუაციების ნათლად გამოკვეთისათვის.

უღალო რთული სახეა ჩონჩა, რომლის განსახიერებაც რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ვ. მეგრელიშვილს დაეკისრა. ვაჟაკური შემართების, სათემო დროშის ღირსებისათვის თავდადებული მეტროლი ჩონჩა ამასვე დროს გულგრილი და გულწრფელი კაცია. განსაკუთრებული დამაყურებლობით გამოვლინდა ჩონჩა-მეგრელიშვილის ეს თვისებები გულწანსთან და მეგობრებთან გათამაშებულ სცენებში. სათანადო რეჟისორის გარეშე უნდა იგრძნოს მასურებელმა, რომ ჩონჩა გულის სიღრმეში მწვავედ გა-



ნიცილის დანაშაულს ბაბას წინაშე, ამიტომაც არ გამოხატეს დიდ სინაზეს მზევიანის მიმართ, რომელიც ჩონთასათვის, როგორც რაინდისათვის, უკადრისი საქციელის ჩადენის მიზეზი ვახდა. ამ ფსიქოლოგიური განწყობილებით აისხნდა, რომ ჩონთა კეთილ სიტყვას შეაწყვეს თემის მიერ შერისხულ ბაბას. ამ მდგომარეულობაში მსახიობი უფროდ აღელს ჩონთას სულიერ დრამას. სპექტაკლში არის აღვივლება, სადაც ჩონთა-ჯ. მჭერელიძის შეტყობილება დინჯია, დარბაისელია და მიერ კაცისათვის დამახასიათებელი მოქნილობას ვერ იჩენს. გაქვებიც — შეეცალო თუ არა ასეთ ადამიანს ტოლამხანაგის თავმოყვარეობის შემოღობილ ნაბიჯის ვადაღმა, ბაბასათვის დანიშნულს წართქვე. მტკ გამოხატულობას მოითხოვის მსახიობსაგან სიკვდილის სცენა.

ჯგარის კეთილშობილურ სულს, დედის რთულ სახეს ღრმად ჩაჰყვდა მსახიობმა მ. გულაშვილი თავისი დაკვირვებული, აუტყურებელი, ამასთან ტემპერამენტითი თამაშით. მას ნაწილობრივ სჯერა ბაბას მოქმედების სწორად, მაგრამ ნაწყაძვებს ლაშარის ჯვრის სიღრმე, ხალხის ინტერესებთან შეერკინებული შეილის საქციელით უდღვდაკოდელი მწვედვლ განიცდის თემიდან მოკვეთის საშიშროებას და მიუღ თავის გულისჯვარს დიდი ექსპრესიით ავლენს მზევიანათან წამიერი შეხედვლის დროს. ამ როლის მართალი განსახიერებით მ. გულაშვილი კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი მდიდარ აქტიორულ პალიტრას ფლობს.

ფშაველი ხალხის სურსას და აზრების გამოხატველია სპექტაკლში მოხუცი უშიშა (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. პირველი). ესაა სახლების, სინდისის, ვაჟაკების მოთაყვანე კაცის ძალზე კოლორიტული სახე. შეიღება თქვას, რომ სპექტაკლში არც უერთი სცენა არ არის ისეთი, სადაც მსახიობის თავისი უფლებობით, ემოციურობით, მართალი თამაშით არ გადაღმავლის მასურებლის ყურადღება.

სიბოთით და ტაქტიით გახსნა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. ღვინიაშვილმა მოქროის სახე. მსახიობმა ამ ეპიზოდურ როლში მშვენივრად გაიზარა თემის საყვარელი ადამიანის — მისი საიმედო შეილის ჩონთას მცდარი ნაბიჯით გამოყვეული დახშული გულისტკივილი და გამოუთქმელი საყვედური.

ახალი კუთხით წარსდგა მასურებლის წინაშე მსახიობი ა. ქებაშვიანი მოლა-მუასას როლში. ქისტიანის მეოპორისათვის დამახასიათებელი სიმკიცრებლ და სიფხიზლე შეხანებულ დიპლომატის თვალდებრობასთან — არ, რე გამოსტვივის მსახიობის ყოველ შირობაობაში, ყოველ გამოვლავლებაში. ა. ქებაშვიანის მოლა-მუასას ნამდვილი გარწმუნებები, რომ სამხე გაქვთ ეტყობის მამაც, საბრძოლო სტრატეგიაში ვაწავულ მეთაურთან.

ხევისბერის იანვარას ორიგინალური სახე გამოაკეთა მსახიობმა გ. ვენცაქაძემ. ჩვენს წარმოდგენაში დამკვიდრებული წინდისლის ნაცულად დავინახეთ თავმჯიშეში, მღვდლადამკვირებელი, ხანჯალმართული ადამიანი, რომელიც დაუნდობელია სათემო დროშის შემზღალავის მიმართ.

იანვარას სწორედ იმტომ არ სურს დიანახოს ჩონთას დანაშაული, რომ იგი ლაშარის ჯვრის ერთგულებაში ნაცვად გმირია. სამკვიდრო, თავის ეტოლსწრებობას თავს ატებს მზევიანის, როგორც ვაჟაკის შემყდენულს, და მას საჯაროდ შეარტყვენ.

გულწრფელი სიხარული განაცდევინა მასურებელს ქისტ მწყემსის-გულსუნდას როლში ახალგაზრდა მსახიობმა ა. ბერიძემ თავისი მიმზღვრული ტემპერამენტით, ბუნებრიობით, ფიქრისა და აზრის ძალდაუტანებელი გადმოცემის უნარით.

მთის ქალისათვის დამახასიათებელი მგზნებარება, სისადად და სიღრმე ახასიათებს მსახიობ ნ. საღარაძის გულქანდას. არსად არ ემჩნევა ნაძალადევი გამოხასხეულობა, დატემულობა და სიყალბე. გულქანდა ლაღი, შეუბოჯარი, მამაცი ქალია, რომელსაც შესწევს უნარი და ძა-

ლა ძმებთან ერთად იშოშვლის ხმალი, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ნ. საღარაძემ უწყუარო არტისტიული ნიჭის მსახიობია. თავისი ცხოველყოფილი თამაშით იგი ხელს უწყობს სპექტაკლის დრამატული სიტუაციების რეალისტურად წარმოსახვას.

ამავე როლში მასურებელმა ნახა ახალგაზრდა მსახიობი ი. ღვ. დაიანი, რაყურელმაც შესწავლი მთელი თავისი უშუალოებით და გულწრფელით მიიტანა მასურებელამდე გულქანდას მამაცი, ლაღი და მოსიყვარულე ბუნება.

სპექტაკლის ანსამბლურობას, მისი მიზანდასახულობის რელიეფურად გამოკეთას ხელს უწყობენ მსახიობები ა. ჩიქვინიძე (სახლადარი), ე. ნაკუყბია (მზევიანო), ე. სვანიძე (ხეობის), ი. ბალიაშვილი (გიორგი).

ერთხელ კიდევ ჩვეული დამაჯერებლობით წარდა მასურებლის წინაშე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შ. ხაჯალაშვილი გიორგის როლში. მოწონება და სიმამტა დაიმსახურა უტყუარი არტისტიული გამოხასხეულობისა და კარგი სცენური მონაცემების ქონზე ახლგაზრდა მსახიობმა ნ. წიკლაურმა მღვას როლში. დიდი ისტატიკით ჩაატარა მსახიობმა სპექტაკლის ფინალი — სათემო დროშის გადაარჩენის ამაღლებული სცენა.

მათეტიკა, ტემპერამენტი გასოსტვივის სარეცენზო სპექტაკლში; თვალსაჩინოდ ივრანობა თეატრის კოლექტივის მისწრეუბა მთელი თავისი აქტიორული შესაძლებლობა მოახმაროს ქართული თეატრის ტრადიციების განმტკიცების საქმეს. ამ საბატიო ამოცანის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მხატვარმა და კომპოზიტორმა. ზედმეტ აქნესურებისა და დაკვირვების გარეშე, მრავალი დეკორაციის დეტალისათვის საერთო ხაზის გამოიშინეს, ერთ დახემაში მათი თამაშის სმდგად ხელგეგმვის დამსახურებულმა მოღვაწემ. მხატვარმა ფ. ლაიაშვილმა უზრუნველყო ყველა მიზანსცენის მკვეთრად გათამაშება. სპექტაკლის დეკორაცია კონსტრუირებულია ერთ გარეკულ დადგმობაში. ხაზობრივ კომპოზიციამ დეკორაციის ანალაგებამ დიდად შეუწყო ხელი მსახიობთა თამაშის წინასწარზე წამოწყვას. ორკესტრის ფართობის გამოყენებამ საშუალება მისცა აქტიორებს უფრო კარგად გამოეკვლინებინათ თავიანთი უნარი, უფრო შაფიური მიეტანათ მასურებელამდე წაწარმოების აზრი. ამის შედეგად მასურებელი უზრალი მჭვერტილე ღარ არის, იგი ცხადლევ განიცდის სცენისა და დარბაზის ასეთი კონტრასტის უპირატესობას.

მთის მდიდარი მუსიკალური ფოლკლორის მთლოდების საფუძველზე შექმნილი მუსიკა (კომპოზიტორი რ. გაბრიელი) სპექტაკლის წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი ხელს უწყობს წაწარმოების გმირთა ფსიქოლოგიის გახსნას, ჰიესაში ასახული დრამატული კონლიზების უკეთ წარმოსახვას.

ორიღე შენიშვნა: სპექტაკლის პირველ სურათში უშიშას და ახალგაზრდებს შორის გამართულ დროაში, რომელიც ერთგვარ ექსპოზიციას წარმოადგენს, არის ზოგირამ, რაც უფროს-უმცროსების, ურთიერთ დამოკიდებულების ეთიურ ნორმებს არივებს (ივანეს გადაჭარბებული გორაობა); ჩონთას სიკვდილის სცენას ავლი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა, არ არის გადმოცემული ამ დიდი დანახალობის გამოყვეული განცდის შეფასება, ხოლო ამ ეპიზოდში შესწრებულ სიმღერა გლოვის ზარის მთაბეჭდილობას არ ახდენს. გარდა ამისა, იქნებ უშუალოდ იყოს სპექტაკლის იდეურ-მხატვრული კონცეფციის გამოხასხევა ფინალი დავიერგინდის არა ხანცა გამორჩილით, არამედ იმ სათემო დროშის გატაცებით, რომელიც ფშვის სინდისისა და პატიოსნების ვადარჩენას მოასწავებს სპექტაკლში.

„მოკვეთილი“ უდაოდ აკადემიური, მონუმენტური სპექტაკლია თავისი მგზნებარე ტემპით, მაღალსაბურთლად დამუშავებული მსახიობური და მხატვრული სცენებით. ეს ღაღმა ქუთათის თეატრის შემოქმედებით კოლექტივის მუშაობაში გარდატეხის საწინდარია.



დელი ინტერესით შეხვდა მაყურებელი ქუთაისელთა მიერ წარმოდგენას — ი. გედევანიშვილის სამშობლებთან დაკავშირებით. რომელიც კომპოზიტორის სახელობის 40 წლისთავს მიეძღვნა, აგრეთვე ა. სუხიაშვილი-ილიუჩინის „ღალატის“, რომლის ახალი დადგმა თეატრმა განახორციელა თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით.

1905 წლის რევოლუციის დამარცხება და რეაქცია შავ დროულად ჩამოაყენა ჩვენს ქვეყანას. ბევრმა დაიკარა მომავალი გამარჯვების რწმენა და არასწორ გზას დააღწია. მულერდველი დარჩა ახალგაზრდობის ის ნაწილი, ვისაც ბრძოლის უნარი ჰქონდა და ვისაც მომავალი გამარჯვება სწამდა.

საქეტკალი „მსხვერპლი“, რომელიც ქუთაისის თეატრის სცენაზე რეჟისორმა ოთარ ალექსიშვილმა დადგა, მსახურულად დასრულებული ნაწარმოებია. რეჟისორის წინა პლანზე წამოუწევა პიესის იდეური შინაარსი, რომელიც გადაწყვეტილია მოხდნით დრამატულ სიტუაციებში. თეოთელური პერსონაჟი ატარებს გამოკეთილ, ინდივიდუალურ სახეს. რეჟისორის მიერ ყველა მოვლენა ნაწილად რეალისტის თვალთი; ცალკეული ეპიზოდები ძლიერი ექსპრესიით, შინაგანი რიტმით არის შესრულებული. აქტივობის მიცემული აქეთ სწორი ამოცანა გვიძრის სახის გასწავლისათვის, საქეტკალის მამოძრავებელ მოვლენათა ფონის გასაშლელად და გადმოსაცემად.

„მსხვერპლი“ ქუთაისის თეატრის სცენაზე ავტორისეული სიმართლით, მუწეობითი ძლიერს. პირველი სცენებიდან იგრძნობა მოქმედების სიხვედრე და სიმსუბუქე, რომელიც ბოლომდე მიჰყვება საქეტკალს.

ბიესის დრამატული ქარვა მარტვიან: მოკლეს ჩაფარი. ბოქალური თვისი დამქუბებით სოფლის აწიკებებს უპირებს, თუ მკვლელი არ იქნება გაყვებული. გიგუა უძღვრია ალიარის დანაშაული და ამით გადაადარინის სოფელი. დგება განსაცდელის წუთები. ახალგაზრდა მეგრძოლი განვა დამარტვებს დანაშაულს და ამით თანასოფელუმებს გადაარჩენს. განვას ჩამობარჩობენ. მეგრძისათვის თავგანწირვის საუკეთესო მაგალითი, უდგანაშაული მსხვერპლის უშუკვილი სახელი ცკლავ ბრძოლისათვის აღადგინებენებს შრომობლებს.

რეჟისურას მიზნად დაუსახავს სიმართლით ეჩვენებინა იმდროინდელი სოფლის სიღრმეჭერი, ამიტომ დეკორაციულად გაფორმებამში ტარბად არის გამოყენებული კომპოზიციები, მაგრამ თავისი რელიეფით დეკორაციული დახვა ორივე მოქმედებამში მოკლებულია ქართლისათვის დამახასიათებელი პიუნაჟის თავისებურებას.

ახალგაზრდა მამაკაცი მეგრძოლი განვა. რომელიც მსხვერპლად ეწირება შავგნელ რეაქციას, მსახიობ ნიკო წიკალისათვის პირველი სერიოზული როლია. ნათელი და ამაღლებული გრძობა, ზურგვა ხალხის ბედნიერი მომავლისათვის, მეგობრისათვის თავგანწირვა — აი რა ახასიათებს ნ. წიკალის განვას. მსახიობი უბრალო შტრიხებს იყენებს, მაგრამ ნამდვილად გვიძრის ცხოვრებით ცოცხლობს. განვას როლის შესრულებით წიკალურბა დაგვანახა, რომ მისი სახით ქუთაისის თეატრის საიმიერ ძალა შემტკმა.

ამავე როლში მსახიობმა გუდ. კიკელაძემ შეძლო გულწრფელად გადმოეცა ახალგაზრდა სოფელი კაცის ფსიქოლოგია. მის თამაშს მეტი სისადავე ახასიათებს. უფრო ნაკლებ ბიობტარია და უპრეტენზიო. უცქირით განვას, მის მეგობრებს, მათ შორის, ახალგაზრდა მიხოს (რომელსაც შესანიშნავად ახასიათებს ი. მალიანიშვილი) და გვერათი, რომ ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც დაიღუპნენ, მაგრამ დაიცვეს ის იდეები, რომელთა საფუძველზე შენდება ჩვენს ბედნიერი ცხოვრება.

ეკთობის საკმის ხელმძღვანელი გიგუა ასცა და რევოლუციის სწორ გზას, რეაქციის მრუდ მილიკს დააღწია და შედეგად ტერორისტული აქტივ ჩაიდინა. უხერხემლო,

მერყევი პიროვნება გიგუა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გ. მეგრელიშვილის განსახიერებით. მსახიობი დასაწყის სცენებში საქეტკალის საერთო ტემპს ვერ მიჰყვება, ინდიფერენტულადა განწყობილი მის ირგვლივ მომადარი ამბის მიმართ, ვერ გამოხატავს შექმნილი სიტუაციის გამოწვევებზე მდგომარებას. მსახიობი გულგრილი რჩება მამნიკს, როცა გიგუას დანაშაულს თავს იღებს ვანუა. შედარებით დინამიური ხდება გიგუა-მეგრელიშვილი ფიზიკურ სცენაში.

მაღალი პროფესიული ოსტატობა გამოსჭვივის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნ. ხაჯალის მიერ შექმნილ გაბუს სახეში. რაკი იცის, რომ ძალმომრეობასთან შიშველი ხელებით ვერას გახვდება, იგი უზარო თავგანწირვას ახალგაზრდებსაც უშლის, მსახიობი ბუნებრივად ცხვერვებს მშვიდი ცხოვრების მოტრფიალ გლხეკაცის სიუერის სამყაროს.

კოლორტული ფიგურა მედუნქე საქი, რომელსაც მსახიობი გ. კიკელაძე ახასიათებს. განსაკუთრებით მიზნიდელია მსახიობის თამაში, როცა თავისი გმირის მერყევი ბუნება ავლენს და პოლიტიკური სიტუაციით დაბნეული ცდილობს ათამიეროს როგორც თანასოფელუმს, ისე ხელისუფლების მართახიან ფარმომადგენლებს.

მსუბუქი, გულწრფელი თამაშით მაყურებლის მოწონება დაიმსახურა ახალგაზრდა მსახიობმა ლ. ვასაკიძემ ნატოს როლში. მაგრამ აქვე უნდა ითქვას ანტირეაქციის შესახებ, რაც რეჟისურას ზოგჯერ მხედველობიდან რჩება. როლებს სწორი განაწილება. შესაფერ პარტნიოროთა მერყევა საქეტკალის გამარჯვების ერთ-ერთი საწინდარია. სარეცენზიო საქეტკალში ამ შხრი არის ხარვეზი (გიგუა-ნატო), ამიტომაც ზოგჯერ დამაჯერებლობას ჰკარავს ეს თუ ის მიზანსცემა, ვაისმის უღვილო სიცილი.

მაყურებელმა ნატოს როლში ნახა აგრეთვე მსახიობი ეკ. დადიანი, რომელიც უფრო მეტი შინაგანი ცეცხლითა და ტემპერამენტით ვეიხატავს სიყვარულით მიტოვებული ქალის სულიერი ტკივილს, საერთო საქმისათვის თავგანწირულ ადამიანს.

ეპიზოდური, მაგრამ გამოკეცილი სახეა განვას დედა მარიამი. შვილის დაღუპვით გულდამწვარი, უსამართლობისაგან გამოკრებული ქალის ტანჯული სახე უფროლად წარმოვივლინებს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა თ. კიკნაძემ და მსახიობმა თ. პაკოყსკიამ. პირველს არ ჰყოფნის ძალა ემოციური ზემოქმედება მოახდინოს მაყურებელზე და აწახსივს ცდილობს ამის მიღწევას, ხოლო მეორე ნაკლებ ჰკავს გლხევის ქალს და მიმიკაც არ უწყობს ხელს შინაგანი ტანჯვის გადმოსაცემად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მსახიობი გ. დასახიუბის „შაქროს“ მსახიობი. მსახიობმა ოსტატურად მოუწინა გასაღები შაქროს სახეს. დამაჰყავებულად დასაძლიეს თანაერთი როლში მსახიობებმა ც. თითაშვილმა (ცენარე-ნიკა) და ა. ქელაქიანიმა (მოქალაქე).

სარეცენზიო საქეტკალში ბევრი ეპიზოდური როლია. დიდხანს დაამახსოვრებდა მაყურებელს გულწრფელი ენევი მარბერ მსახიობი ნ. საღარაძის განსახიერებით; აგრეთვე მსახურთა მწვენიერი ტიპები, რომლებიც შექმნეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ე. აბესაძემ, მსახიობებმა რ. გოგუას-შვილმა და ა. მოქონელიძემ. მაყურებლის მოწონება დაიმსახურეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა შ. ხინგულა (ეკიმი), მსახიობმა ა. ჩიქინიძემ (თავად სოლომონი) და სხვ.

„ღალატი“ ხშირად ამშვენებდა ქუთაისის თეატრის რეპერტუარს. ბევრ გამოჩენილ ქართველ მსახიობს (ნ. ჩხეიძეს, ა. იმედაშვილს, ვ. ვუნიას, ა. მერსულაძეს და სხვ.) უჩვენებია თავისი აქტივობით ტლანტე „ღალატის“ გმირთა ოსტატური განსახიერებით და გასაკვირი



როლია ის ცხოველი ინტერესი, რომელიც მასურებელმა გამოიხატა „ლაღატის“ ახალი დადგმის მიმართ. მისი კავრების სახალხო არტისტის ავაცი ვასაძის მიღწერა აქტიურულმა პრაქტიკამ თავი იჩინა სარკვევით სპექტაკლის ახლებურად განხორციელებაში. პიესის დრამატული მასალა ორიგინალურად არის გახსნილი, ხოლო სპექტაკლის ყველა კომპონენტი მთლიანობაშია წარმოდგენილი. წინა პლანზე არიან შოქლიანი უბრალო ადამიანები: ანანია, დათო, საბა-ბერი, მაიკო, ბესო — შრომელი ხალხი თავისი ბრძოლით, მრწამსით, სურვილებით. მგვირგაღა ნაჩვენებია თითარ-ბევის, ზეინანის და სხვა დედღვარებთან პატრიოტული გრძნობების მოღწევა, რაც კონტრასტს წარმოადგენს უბრალო ადამიანების, გულუხვის ენთუზიაზმთან, რომელიც აღანთებდა მათ სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რეალისტური სტილით გაუფორმებია სპექტაკლი ხელღწევის დამსახურებულ მიღვარესს. თავისებურად, თუმცა გაფორმება უფრო მოიკვება, მანტარს რომ მაჟიფი ფერები აერჩია პერსპექტივის ვაღმოსაცემად, რადგან სინათლის არც თუ ნაზიერებულად გამოყენება კიდევ უფრო ახვეწავს ოსს. ხელოვნების დამსახურებულ მიღვარესს კომპოზიტორ რ. გაბრიკაძის მუსიკა თავისი კოლორიტული ხმოვანობით და შეხამებული მოქმედების მსვლელობასთან, გმირთა ხასიათებთან.

პირველივე სცენებიდან ნათელი ხდება, რომ სპარსელები ბატონობენ საქართველოში. თითქმის დარღვევებულა თავისი ფულების მოყვარე ქართველი ხალხის ხმლი, თითქმის ყველაფერი სულღიან-ხანის ნება-სურვილზე ტარდება. კათალიკოს ზარის ერთ ჩამოყრისათვის თავს კვეთენ. ქრისტიანი ქართველი დაგროვმასე ვეღარ დღე-ღამე უსწავლობს. ოფსმავე დიდი მებრძოლი, ქართველი სახელმწიფო წინამძღოლი თითარ-ბევი სპარსელთა ყურმოჭროლი მონა გამადარა; თამარ დედოფალი ზეინან დედოფალ ქველსა, სულღიანის ერთგული შეინაღ ზეინანი შინადა ქართველი ასულები პარამანისა ვაგზავნის. მაგრამ სხვაზე ქართველი ხალხის სინდისისა და პატრიონების სიმბოლოდ ცალთვალა დღეი ანანია შუმოიჭრა თავისი ორი შვილი. ჩანს, კიდევ ყოფილა გაქაყაები, რომელთაც თვალზე უჭრით და ხმლის ხმარებაც კვლავ აღმებურად შეუძლიან. მათ ხალხის დაუბებელი ბოღმა შუმოიჭრთ თან, ბრძოლის ჩაღწევილი ნაპარწყლებს ადვილებენ და ჩანჩახა კოცნადა ანთებენ. სწორედ ამ ბრძოლის ცეცხლის დანთებისათვისა ყველაფერი გამიზნული სპექტაკლი.

ანანია (შ. პირველი) შემოსვლისათავე ამცაღანებს ქართველი გულგაკის პატრიოტულ მისწრაფებებს, მტრისადმი შურისძიებლობას. გვეჯარა, რომ მოხუცია დიდ გმირს გაძლიერ. შეინარჩუნა გამბედაობა და სიტკიცა. ანანია სულიერი განწყობილების ვაღმოსაცემად მსახიობმა სიღნეუე პირნია. შ. პირველის ანანია, უწინარეს ყოვლისა, აზრით მეტყველია. თითარ-ბევის მისი შემწეობით უნდა დაწინაა ნამდვილი ადამიანური ცხოვრების მიზნად და მითარის. რადუნად შესული მსახიობმა ანანია ბრძნულ, მაგრამ ენამწარე მონოლოგით თითარ-ბევის სულის აფორიაქება. მისი ვაღმომღევა სამშობლოს საკეთილდღეოდ! მანწიფაობდა, მასურებელი თითარ-ბევის ვარდაქმნაში ანანია როლს ასე გამოიკეთილად ვერ ხედავს. მსახიობმა თავისი ამოცანა თითქმის მხოლოდ იმში პიკაა, რომ კეთილშობილი მოხუცი მებრძოლი წარმოედგინა, ძირითადი მისია კი ჩრდილში მოაქცია. მსახიობს მეგრე-გან როლი დღესაც მიჰყავს და ინერციულად მისდევს სპექტაკლის საერთო მიმდინარეობას. შ. პირველი ფართოდ დაბაზონის მსახიობია. მას შესწევს უნარი გააკეთოს სცენური გმირი და ვაიტაცოს მასურებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო იყო თვით ყოველივე გატაცებული, რაც, სამწუხაროდ, არ მოხდა. მასურებელი გულგრილი დარჩა მის მიმართ.

ზეინანის როლი დრამატურგმა ლამაზ ქანდაკებასავით

